

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის
ანგარიში



01.09.2018-12.03.2019წ.(ჩათვლით)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებლივი აქტების შესაბამისად. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სამსახური საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და მისი შემდგომი გამოყენების შესახებ 2018 წლის სექტემბრიდან დღემდე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე დამატებითი ქონების სახით ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადმოცემულია ორი ობიექტი:

1. სოფელ უბისაში 49 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი ნაგებობა (წისქვილი).
2. სოფელ ბაბში 610 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა (სარიტუალო დარბაზი).

დარეგისტრირდა სოფელ კიცხში 6109 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად (სპორტული მოედანი).

დასრულდა სოფელ ნებოძირში 802 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცესი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი დავირეგისტრირეთ სოფელ ანეულაში რკინიგზის რეკონსტრუქციის ფარგლებში დადემონტაჟებული სარიტუალო დარბაზის მშენებლობისათვის; ნაკვეთი დარეგისტრირდა და გადაცემულია შესაბამისს სამსახურს პროექტის მომზადებისათვის;

დარეგისტრირდა სოფელ ისლარში 26453 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (მრავალწლიანი ნარგავები), შემდგომში სარგებლობის უფლებით გადასაცემად;

სოფელ საღანძილში მდებარე ორი უძრავი ქონება (ს/კ 36.14.34.328 და ს/კ 36.14.34.005) გაერთიანდა და მიენიჭა ერთი კოდი (ს/კ 36.14.34.379) შემდგომში საბავშვო ბაღის ასაშენებლად; მოგეხსენებათ რომ ახალი რეგულაციების გათვალისწინებით საბავშვო ბაღის მშენებლობას ჭირდება 1 აღსაზრდელზე დაახლოებით 40 კვ.მ ფართი;

2018 წელს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეცა არსებობის ვადით 9 აპრილის ქუჩა N 46-ში 23 კვ.მ ფართი (ავტოფარეხი). მიმართვაში, რომელიც მომზადდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია გეგმავდა არსებული და ახლად გადაცემული ფართის კაპიტალურ რემონტს და საკონფერენციო ოთახის გაკეთებას. ამჟამად, მიმდინარეობს შენობის ნაწილობრივი დემონტაჟი მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით, გაილესება და მოპირკეთდება პირველი და მეორე სართულები. პირველ სართულზე საკონფერენციო ოთახი განთავსდება, მეორე სართულზე – თანამშრომელთა კაბინეტები. დამატებით, შენობის მარჯვენა მხარეს, საწყობი აშენდება და შენობის გარე ფასადი შეიღებება. მომავალი არჩევნებისთვის კომისიას საკუთარი საკონფერენციო დარბაზი ექნება სადაც შესაძლებელი იქნება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენინგების ადგილზე ჩატარება და გაუმჯობესდება თანამშრომელთა სამუშაო პირობები.

2018 წლის 28 აგვისტოს ხელი მოეწერა ერთის მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და მეორე მხრივ სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი „თბილისის პროექტთა ბიუროს შორის იჯარის ხელშეკრულებას, (პირდაპირი განკარგვით საკრებულოს თანხმობით 2018 წლის აგვისტო.) რომლის მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მოიჯარეს გადასცა 10 წლის ვადით დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N 19 ა-ში მდებარე 220.05 კვ. მ სარემონტო ფართი, იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაეცა განათლების ცენტრის ფუნქციონირებისათვის, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლება ჩაერთოს საგანმანათლებლო აქტივობებში, სახელობო და პირადი განვითარების კურსებში, ახალგაზრდულ პროგრამებში და მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო მომსახურება.

ამ ეტაპზე ორგანიზაციასთან საკონტაქტო პირის ინფორმაციით სწავლების დასაწყებად მზად არიან პედაგოგები (ტრენერები). დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაიარონ, მეფუტკრეობის, ხეზე კვეთის. თექის, ჭრა-კერვის, ტრადიციული ქართული სამზარეულოს, ქსოვის-მაკრამეს, ტრადიციულ-ხალხური საკრავების დაკვრის კურსები. ასევე მიმდინარეობს მუშაობა მანქანის მართვა-თეორიის შემსწავლელი კურსის შესაქმნელად.

ხელშეკრულების მიხედვით, რემონტის ხარჯები წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერიაში (თან ახლავს ანგარიშს დანართის სახით) უახლოეს პერიოდში შეფასდება და

დამტკიცდება სერთიფიცირებული აუდიტის (ექსპერტის) მიერ და მოხდება მისი იჯარის თანხაში დაანგარიშება. მესაკუთრე, (მერია) თავისუფლდება მოიჯარესათვის რემონტის ღირებულებასა და ხელშეკრულების საგნის სრულ ღირებულებას შორის სხვაობის რაიმე ფორმით ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში რემონტის სრულ ღირებულებაა 48 159.5 (ორმოცდარვაათას ასორმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ხოლო იჯარის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში 27360 (ოცდაშვიდიათას სამასსამოცი) ლარი. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური გააგრძელებს ხელშეკრულების მონიტორინგს აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

მივმართეთ შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ბიუროს 2016 წლის 25 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული შეთანხმების შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ ანეულაში 4099 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გვირაბიდან გამოტანილი ქანების განთავსების შემოდგომ, სპორტული მოედნის მოწყობას. ჩინური კომპანიის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ და უახლოეს დღეებში დაიწყება ადგილზე სტადიონის მოწყობა.

დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს სოფელ ხუნევის ყოფილი საკრებულოს შენობა-ნაგებობის ფართის დაზუსტება .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო და საავტომობილო გზების სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით მერიის კომპეტენციის ფარგლებში სამსახურმა მოამზადა და დააყენა სხვადასხვა სახის საკითხები შესაბამისს სამინისტროებში სხვადასხვა წამოჭრილი პრობლემების მოგვარების კუთხით. ასეთებია:

გაიგზავნა წერილი გუბერნატორთან სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრებ თამაზი კაკიაშვილის შესახებ, აღნიშნულ საკითხთან წერილი გაგზავნილი იყო მთავრობის ადმინისტრაციაშიც, საბოლოოდ უსახლკაროდ დარჩენილ თამაზ კაკიაშვილს დახმარებას გაუწევს მუნიციპალიტეტის მერია.

მომზადდა და გაიგზავნა წერილები გუბერნატორის ადმინისტრაციაში, შ.პ.ს., საქართველოს რკინიგზაში“ აგრეთვე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სოფელ ანეულის მოსახლეობისათვის გზის მშენებლობის პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარებისთვის. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვდა დამატებით შეესწავლათ იმ 5 მოქალაქის განცხადება რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვავდა შეთავაზებული კომპენსაციის სანაცვლოდ. საბოლოოდ საკითხი გადაწყდა სოფელ ანეულაში მცხოვრებთა სასარგებლოდ. ასევე

შუამდგომლობით მიმართა სოფელ შპს „საქართველოს რკინიგზას“ სოფელ ლაშეში განსახლების ზოლში არსებული მოქალაქეების სასარგებლოდ.

თებერვლის თვეში ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან ერთად განიხილა გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილები, რომლებიც ეხებოდა სოფელ ნუნისში მდებარე 3 ერთეული მიწის ნაკვეთის და სოფელ ლაშეში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხს. მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის აზრი, ეცნობა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და შეჩერდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების პრივატიზების პროცესი.

გარემოსდაცვითი მიმართულება

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურიდან 2018 წლის აგვისტოს თვეში მომზადდა მიმართვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, რომელშიც მერიამ მოითხოვა ნებართვა გარემოდან მგლის ინდივიდების ამოღებაზე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. მიღებული ლიცენზიის შესაბამისად, 2018 წლის 22 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შექმნილი ჯგუფებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ჩატარდა გარემოდან მგლის ინდივიდების ამოღების ღონისძიებები ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე. ხელშეკრულება ძალაშია 14.08.2019 წლის ჩათვლით და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიას კვლავ შეუძლია დაგეგმოს მსგავსი ღონისძიებები შექმნილი ჯგუფებით.

დასუფთავება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 2015 წლის 20 ივნისს, რომლის მეშვეობით საქართველოს მთავრობა ისწრაფვის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გააუმჯობესოს ნარჩენების მართვის პრაქტიკა მაღალი საპროექტო და საოპერაციო სტანდარტების დაწესებით, ანუ სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის დეკემბერში შეიმუშავა და საკრებულოზე დაამტკიცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და 2016-2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმას. ამასთანავე, ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირების ვალდებულება ძალაში შედის 2019

წლის თებერვლიდან. აღნიშნული ვალდებულების აღსრულების მიზნით (ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმის შესაბამისად ამოცანა 5.1 და 5.2 რომელიც ეხება ქალაქის, მინის, მეტალის და პლასტიკის წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი მაჩვენებლების მიღწევას 2020 წლისათვის) მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა იმერეთის გუბერნიასა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა ნარჩენების წყაროსთან სეპარირებისათვის კონკრეტული გეგმა შესაბამისი ფინანსური საჭიროებებით.

ამავდროულად, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა გუბერნიასთან შეთანხმებით შეიმუშავა მუნიციპალიტეტისათვის სეპარირებული ნარჩენების კონტეინერების და მანქანების ოდენობა და ასევე განსაზღვრა ტურისტული ზონების და ურნების განთავსები წერტილები, რომლებიც გამოიყურება შემდეგნაირად:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის სეპარირებული ნარჩენების კონტეინერების და მანქანების რაოდენობის განსაზღვრა, ტურისტული ზონების და ურნების განთავსების წერტილების შემუშავება

ურნების განთავსების არეალი და რაოდენობა

დაბა ხარაგაულში 3 საჯარო სკოლასთან სხვადასხვა ქუჩაზე	3 შეგროვების წყარო 6 ბუნჯერი
სრს მომსახურეობის სააგენტო და მრავალბინიანი კორპუსების მიმდებარე ტერიტორია	1 შეგროვების წყარო 2 ბუნჯერი
დაბის ცენტრი და კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია	1 შეგროვების წყარო 2 ბუნჯერი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა და მიმდებარე ადმინისტრაციული შენობები	1 შეგროვების წყარო 2 ბუნჯერი
ტურისტული ზონა:სოფელი უბისა უბისის მონასტერის კომპლექსი, უბისის საჯარო სკოლა	1 შეგროვების წყარო 2 ბუნჯერი

სოფელ ბორითი: ავტომაგისტრალი, ბორითის საჯარო სკოლა, ადმინისტრაციული შენობა, ბაღი, პოლიცია	1 შეგროვების წყარო 2 ბუნკერი
სულ	16 ერთეული (1100 ლიტრიანი კონტ.)

ასევე დაბის ცენტრალურ ქუჩაზე განსათავსებლად პლასტმასის და ქალაღდის ხუთ-ხუთი 240 ლიტრიანი კონტეინერი.

სულ: 1100 ლიტრიანი 16 ერთეული;

240 ლიტრიანი 10 ერთეული;

სეპარირებული შეგროვებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მისაღები იქნება 1 ერთეული ავტომანქანა 10მ³ მოცულობით.

ზემოთ აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმა 2019 წლის განმავლობაში.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს 2019 წლიდან მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მიხედვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი დადგენილებით, ფიზიკური პირებიდან მოსაკრებლის ამოღება, დასუფთავების გადასახადების პროგრამის მეშვეობით.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მოიძია კომპანიები, რომელიც მუნიციპალიტეტებს სთავაზობს დასუფთავების გადასახადების პროგრამის დანერგვას, რომელიც ავტომატურადაა ჩართული საქართველოში არსებულ 14 საბანკო ორგანიზაციაში. პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია აბონენტების ბაზების მართვა სხვადასხვა ფილტრაციით და ასევე ავტომატურად ხდება გადახდილი თანხების სისტემაში ასახვა. პროგრამა წარმატებით მუშაობს გორის, კასპის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება როგორც ფიზიკური პირებიდან, ასევე იურიდიული პირებიდან მოსაკრებლის ამოღება. რაც უზრუნველყოფს ერთიანად და გამართულად დასუფთავების


მოსაკრებლების მობილიზებას ადგილობრივ ბიუჯეტში. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა დასაბუთებული მოთხოვნა, შესაბამისად მუნიციპალიტეტი შეიძენს აღნიშნულ პროგრამას და გაუშვებს ქსელში უახლოეს თვეებში.

2018 წლიდან დღემდე დასუფთავების და ნარჩენების მართვის კუთხით გატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები აიპ „ხარაგაულდასუფთავება კეთილმოწყობასთან“ ერთობლივი მუშაობით, მოხდა ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცილებით გაუმჯობესდა ნარჩენების შეგროვება, რაც განპირობებულია დამატებით შემოტანილი ნარჩენების შემკრები კონტეინერებით, რომლებიც დამატებით გადანაწილდა ადმინისტრაციულ ერთეულებში. ასევე განხორციელდა არაოფიციალური უნებართვო ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და მათი სათანადო წესით დახურვა.

იჯარით აუქციონის წესით და პირდაპირი განკარგვით 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

1. ფიზიკურ პირს გოჩა ნიქაბაძეს გრძელვადიანი იჯარით (10 წლის ვადით) გადაეცა სოფელ ლახუნდარაში 5000 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
2. ფიზიკურ პირს გოჩა ნიქაბაძეს გრძელვადიანი იჯარით (10 წლის ვადით) გადაეცა სოფელ ლახუნდარაში 747 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
3. შპს „კომპანია ბლექსი სი გრუპს“ იჯარით გადაეცა დაბა ხარაგაულში, სოლომ მეფის ქუჩა N44-ში მდებარე 2421 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 წლის ვადით;
4. შპს „კომპანია ბლექსი სი გრუპს“ იჯარით გადაეცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილეში 2741 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2 წლის ვადით;
5. ფიზიკურ პირს მარიანა პაპიძეს იჯარით გადაეცა დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N 57 ში 22 კვ.მ ფართი 5 წლის ვადით;
6. ფიზიკურ პირს გიორგი მჭედლიძეს დროებით სარგებლობაში იჯარით გადაეცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში სარიტუალო დარბაზი 357 კვ.მ ფართი;
7. ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სარიტუალო დარბაზი რომელსაც არ გააჩნდა სარიტუალო მომსახურეობისათვის საჭირო ინვენტარი გაიცა იჯარით სამი წლის ვადით. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს შენობის ფუნქციონირება დანიშნულებისამებრ.

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაფორმდა 19 იჯარის ხელშეკრულება, სულ შემოვიდა 64 500 ლარი და გეგმა შესრულდა გადაჭარბებით (დაგეგმილი იყო 30 000 ლარით) მეტობა წინა წელთან შედარებით მოხდა 162 %-ით. მსგავსი რაოდენობა ხელშეკრულებებისა არ გაფორმებულა არცერთ საანგარიშო წელს. ეკონომიკის სამსახური ამ მხრივ კვლავ აგრძელებს მუშაობას, რათა მაქსიმალურად მოხდეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გაცემა. თითოეული გაფორმებული ხელშეკრულებით მარტივდება ქონების მოვლა პატრონობა და ასევე ბიუჯეტში ხდება იჯარის თანხების ჩარიცხვა.




ცხრილი #1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის იჯარის ხელშეკრულებიდან მიღებული შემოსავალი 2016 წ. 2017 წელი, 2018 წ.

2019 წლის იანვრის თვიდან დღემდე ჩათვლით შემოსულია 16114 ლარი და ვარაუდობთ რომ წლის ბოლომდე გადააჭარბებს 70 000 ლარს.

დასუფთავება

2018 წლის გეგმით მუხლში ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის განისაზღვრა 40 000 ლარით, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიმართა შესაბამის სამსახურს რათა მომხდარიყო ამ მუხლის რეალური შედეგების მიხედვით დაგეგმვა, (30 000 ლარამდე) რადგან 2017 წელში აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდა ხელშეკრულებით წინა წლებში გადაუხდელი თანხების მოთხოვნით, გეგმა დარჩა უცვლელი 40 000 ლარი, ხოლო შემოსულებმა ამ მუხლში შეადგინა 31 600 ლარი (79 %).



ცხრილი #1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების მოსაკრებლის ხელშეკრულებებიდან შემოსული თანხების შესახებ.

2019 წლის ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის დაიგეგმა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურიდან მიწოდებული ინფორმაციით და განისაზღვრა 30 000 ლარით. 2019 წლიდან დღემდე უკვე შემოსულია 9564 ლარი. იანვარ თებერვლის თვის გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებელია 193 %. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლის შესრულება მოხდება დადებითად.

პრივატიზება

ასევე გაზრდილი მაჩვენებლებით დაიგეგმა 2018 წლის არაფინანსური აქტივების კლების მიმართულება, რომელმაც 2018 წლის იანვარ დეკემბრის თვის ჩათვლით შეადგინა 25 400 ლარი.

2019 წელს კი მუხლში, არაფინანსური აქტივების კლება ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურიდან მიწოდებული ინფორმაციით დაიგეგმა 40 000 ლარით, ჩატარებული აუქციონებით რომელიც განხორციელდა 2019 წლიდან დღემდე ველოდებით 21 000 ლარს მარტის თვის ჩათვლით., შესაბამისად ამ მუხლში გათვალისწინებული გეგმის შესრულებაც დადებითად მოხდება.

მიმდინარეობს :

სოფელ ღორეშაში 127 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია შემდგომში სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით.

მაღალი ინტერესის გამო, სოფელ ვერტყვიჭალაში საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მოთხოვნილი იყო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, არსებული საბავშვო ბაღის მიმდებარედ 1031 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თუმცა რეგისტრაციის პროცესში საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უარი განაცხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში მომხდარიყო აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, მიუხედავად არაერთი დასაბუთებისა და შუამდგომლობით მიმართვისა სხვადასხვა უწყებების დახმარებით, საგზაო დეპარტამენტი დღემდე იკავებს თავს აღნიშნული ნაკვეთის გადმოცემაზე, იმ მოტივით, რომ მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობის პროცესი და ამავდროულად ნაკვეთი მდებარეობს საავტომობილო გზის ღერძიდან 100 მეტრში. ამ პროცესების პარალელურად, სამსახურმა წერილობით მიმართა დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, დაეყენებინა საკითხი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე, რათა გააუქმოს სსიპ სახელმწიფო ქონების სააგენტოს მიერ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1410 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გაფორმებული სარგებლობის უფლება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ არ არის გამოყენებული. ხოლო სარგებლობის უფლების მოშლის შემდეგ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია დააყენებს საკითხს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე 1410 კვ.მ მიწის ნაკვეთის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ, რომელიც გააერთიანებს მის მოსაზღვრედ მდებარე არსებულ ვერტყვიჭალის მოქმედი საბავშვო

ბალის 848 კვ.მ მიწის ფართთან, სადაც განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბალის მშენებლობა.

მიმდინარეობს სოფელ ხიდრის სარიტუალო სახლის იჯარით გაცემის მოსამზადებელი სამუშაოები, სოფელ ხიდრის სარიტუალო სახლი აშენდა 2014-2015 წლებში და დღემდე თავის დანიშნულებით ვერ ფუნქციონირებს. ამჟამად სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მოსახლეობამ ერთსულოვნად მხარი დაუჭირა სოფლის სარიტუალო სახლის დასრულების პროექტს, კერძოდ, შესაძენია ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარი (მაგიდები, სკამები და ა.შ) ასევე განსაზღვრული თანხით მოპირკეთდება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია. დაახლოებით მაისის თვეში ხიდრის სარიტუალო სახლი ფუნქციონირებას დაიწყებს დანიშნულებისამებრ.

დასრულდა სოფელ ლახუნდარაში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 211141 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 19 ნაკვეთად დაყოფა და მიენიჭა სათითაოდ საკადასტრო კოდი. აღნიშნული მიწის ნაკვეთები წლების განმავლობაში თვითნებურად ქონდათ მითვისებული ადგილობრივ მოსახლეობას. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებთან ერთად სოფელ კიცხში საზოგადოებრივ ცენტრში განახორციელდა მოსახლეობასთან შეხვედრა, მოხდა შეთანხმება, რომ დაყოფის შემთხვევაში მოსახლეობა მიიღებდა ელექტრონულ აუქციონზე მონაწილეობას და მიწის ნაკვეთი გადაეცემოდათ დროებით სარგებლობაში (იჯარით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გაუმარტივებთ მონაწილეობის მიღებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა პროექტებში. დასრულდა აღნიშნული პროცესი, რომელშიც მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები. სამსახურმა აუქციონზე გაიტანა უკვე დაყოფილი მიწის ნაკვეთები, რაშიც მონაწილეობა უკვე მიიღო ორმა ადგილობრივმა და აუქციონი კვლავ გრძელდება.

2019 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ჩაერთო ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტ „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ (M4EG). პროექტის ფარგლებში მზადდება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და იგეგმა მისი განხორციელების გზები. ამჟამად მიმდინარეობს აეგგ-ზე (ადგ.ეკონ. განვითარების გეგმა) მუშაობა, აღნიშნული ორგანიზაცია მუნიციპალიტეტს უწევს სხვადასხვა სახის დახმარებას აეგგ-ის მომზადებაში, რომელსაც წარადგენს საკრებულოზე დასამტკიცებლად და ამის შემდგომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ჩაერთვება M4EG-ის თემატური ჯგუფების (ბიზნესის ხელშეწყობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ღვინის ინდუსტრია) მუშაობის პროცესში.

ასევე, 2019 წლიდან მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარეობს დაანონსებული ძირითადი და სასაქონლო მატერიალურ საშუალებების ინვენტარიზაციის პროცესი რომელსაც ახორციელებს შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისია. კერძოდ, პირველ ეტაპზე განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული აიპ -ების ინვენტარიზაცია. ამ ეტაპზე სრულდება აიპ ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ინვენტარიზაცია, სრულად მოხდა აღნიშნულ აიპ-ში გაერთიანებული ორგანიზაციების ქონების აღწერა, მოხდა მათი ელექტრონულ ცხრილში ასახვა, აღნიშნული ქონების დასტიკერება წინასწარ შეძენილი მუნიციპალური გერბის მქონე სტიკერით და შესაბამისი კოდით, განისაზღვრა ქონებებზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი მიღება ჩაბარებით მოხდება აღნიშნულ პირებზე ქონების ჩაბარება. ასევე გამოვლინდა აღნიშნულ აიპზე გადაცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოუყენებლობა, კერძოდ სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის. შესაბამისად ინვენტარიზაციის დასრულების შემდგომ მოხდება სარგებლობის უფლების გაუქმება. მსგავსი სახით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინვენტარიზაციის ჩატარება არ მომხდარა, პროცესი გრძელდება და და წლის ბოლომდე საინვენტარიზაციო კომისია დაასრულებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვენტარიზაციას.

მიუხედავად სამსახურში მიმდინარე პროცესებისა დღემდეა რიგი პრობლემები, რომლის გამოსწორებაზეც მუდმივ პროცესში მუშაობს, რომელთაგანაც შეიძლება გამოიყოს;

არასათანადო სტატისტიკური ინფორმაციის ფლობა, რაც წარმოადგენს აუცილებლობას, როგორც ადგილობრივი ეკონ.განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში, ასევე ინვესტორებთან თანამშრომლობის პროცესში;

სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების განკარგვის გზები, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ბიუროკრატიული ბარიერებით, კერძოდ, მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე გარემოს ზემოქმედები ზიანდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობები და მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შესაბამის ზომებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიის შესაბამისი სამსახურები მუშაობენ გუბერნიის ადმინისტრაციასთან ერთად.

დღემდე არსებობს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სხვადასხვა დანიშნულების შენობა ნაგებობები, რომლები ვერ ფუნქციონირებენ დანიშნულებისამებრ, იქნება ეს სარიტუალო სახლები თუ სხვა ძირითადი საშუალებები, 2019 წელს აღდგენილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მოგვცემს საშუალებას მოსახლეობის მხარდაჭერის შემთხვევაში, მოხდეს სარიტუალო სახლების დასრულება და მათი ფუნქციონირება.

